სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

04012739861916

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულება/მინდობილობა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი:

№ 161057428

რეგისტრაციის თარიღი:

14 სექტემბერი, 2016 წ.

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე
მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული,
0102 ქ. თბილისი, საქართველო,
ტელ/ფაქსი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

დასკანირებულია 126

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას თექვსმეტი წლის თოთხმეტ სექტემბერსმე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართა სრულიად საქართველოს **კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ** (სამოქალაქო სახელი – ირაკლი შიოლაშვილი, დაბადებული 04.12.1933 წ., მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ერეკლე მეორის მოედანი №1, პირადი №01015004723).

მან ბრძანა, რომ სურს, სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის (იგივე _ „საქართველოს საპატრიარქო", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი №1, გადასახადის გადამხდელის №204395537) სახელით სპეციალური უფლებამოსილება მიანიჭოს **ვანისა და ბაღდადის მიტროპოლიტ ანტონს** (სამოქალაქო სახელი **მარკოზ ბულუხია,** დაბადებული 07.05.1956 წ. პირადი №№60001004060).

კათოლიკოს-პატრიარქის ნების დადგენის შემდეგ:

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ (სამოქალაქო სახელი – ირაკლი შიოლაშვილი, დაბადებული 04.12.1933 წ., მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ერეკლე მეორის მოედანი №1, პირადი №01015004723), **ვანისა და ბაღდადის მიტროპოლიტ ანტონს** (სამოქალაქო სახელი **მარკოზ ბულუხია,** დაბადებული 07.05.1956 წ. პირადი №№60001004060) (შემდგომში მოხსენიებული როგორც „რწმუნებული") მიანიჭა **სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის** (იგივე _ "საქართველოს საპატრიარქო", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი №1, გადასახადის გადამხდელის №204395537) (რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მარწმუნებელი") რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი

1. რწმუნებული უფლებამოსილია, **ვანისა და ბაღდადის** (რომელიც მოიცავს ვანისა და ბაღდადის მუნიციპალიტეტებს) ფარგლებში:

ა) მარწმუნებლის სახელით დააფუძნოს საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და სხვა არაკომერციული მიზნის მქონე იურიდიული პირები (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, გიმნაზია, ლიცეუმი, ბაგა, ბაღი, ბაგა-ბაღი და სხვა), ხოლო შემდეგში განკარგვის უფლების გარეშე მართოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და წარმოადგინოს მარწმუნებელი ზემოთმითითებული იურიდიული პირების მმართველი ორგანოების მუშაობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ბ) განკარგვის უფლების გარეშე მართოს წინამდებარე მინდობილობის გაცემამდე **ვანისა და ბაღდადის** (რომელიც მოიცავს ვანისა და ბაღდადის

დასკანირებულია 126

მუნიციპალიტეტებს) ეპარქიაში მარწმუნებლის სახელით დაფუძნებული და მოქმედი არაკომერციული იურიდიული პირები, დამფუძნებლის სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის, მმართველობისა და ხელმძღვანელობის ორგანოებთან დაკავშირებით და შეცვალოს მმართველი/ხელმძღვანელი პირები (დირექტორი, პრეზიდენტი და სხვა ნებისმიერი დასახელების თანამდებობის პირი), დანიშნოს მათ ნაცვლად პირები (მათ შორის, საკუთარი თავი) და განახორციელოს სხვა ნებისმიერი მმართველობითი უფლებამოსილება;

გ) მარწმუნებლის მფლობელობასა (სარგებლობასა) და/ან საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობანი) და მოძრავი ქონება მფლობელობის (სარგებლობის) უფლებით გადასცეს მარწმუნებლის მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საქველმოქმედო დაწესებულებებს (ფონდებს, სკოლებს, ბაგა-ბაღებს და სხვა) ამ დაწესებულებათა საწესდებო მიზნების შესასრულებლად;

გ) მარწმუნებლის სახელით შემოწირულობის სახით, ან სხვა უსასყიდლო ფორმით (საკუთრებაში, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით და/ან სხვა ფორმით) მიიღოს უძრავ-მოძრავი ქონება.

2. ამ მუხლის წინა პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, მათ შორის, მარწმუნებლის სახელით დადოს გარიგებანი (შეიტანოს ცვლილებები/დამატებები მათში) და განსაზღვროს მათი შინაარსი, მიიღოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი საჯარო და კერძო დაწესებულებებისაგან, უზრუნველყოს დაფუძნებულ იურიდიულ პირთა და/ან ხელშეკრულებათა, უძრავ-მოძრავი ქონების რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. იმ შემთხვევაში, თუ მარწმუნებლის სახელით დაფუძნებული იურიდიული პირის ხელმძღვანელი არის თვით რწმუნებული, მას უფლება აქვს, ამ იურიდიულ პირთან მარწმუნებლის სახელით გარიგების დადებისას გარიგებაში ერთდროულად წარმოადგინოს მარწმუნებელი და მარწმუნებლის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი.

მუხლი 2. უფლებამოსილების ფარგლები

1. უფლებამოსილების ფარგლებში იგულისხმება ის უფლებები, რომელიც მარწმუნებელმა მიანიჭა რწმუნებულს და რომლის განხორციელების უფლებაც აქვს რწმუნებულს. შესაბამისად, რწმუნებულს აქვს მხოლოდ ის უფლებები, რომელიც ჩამოთვლილია წინამდებარე აქტში, აგრეთვე ამ უფლებებიდან გამომდინარე სხვა უფლებები, რომელიც უშუალოდ არ არის მითითებული წინამდებარე აქტში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 3. უფლებამოსილების განხორციელება მარწმუნებლის სახელით

1. რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის სახელით. ნებისმიერი აქტის (მოქმედება, დოკუმენტის შედგენა, დოკუმენტზე ხელმოწერა და სხვა) შესრულებისას რწმუნებული ვალდებულია მიუთითოს, რომ მოქმედებს "სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით.

დასკანირებულია 126

2. რწმუნებულმა უნდა მიუთითოს ის დოკუმენტი (დოკუმენტის რეკვიზიტები), რომლის საფუძველზეც მარწმუნებლის სახელით ახორციელებს უფლებამოსილებას.

მუხლი 4. მარწმუნებლის მითითების შესრულება

1. რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევა (მითითებანი).

2. მესამე პირის მიმართ არსებობს რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის ლოცვა-კურთხევის (მითითებების) შესრულების პრეზუმფცია: ივარაუდება, რომ რწმუნებულმა მესამე პირების მიმართ წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი შეასრულა მარწმუნებლის მითითებების ფარგლებში და მის საფუძველზე.

მუხლი 5. უფლებამოსილების განხორციელება პირადად

1. რწმუნებული ვალდებულია, უფლებამოსილება განახორციელოს პირადად. ამასთანავე, მას უფლება აქვს, უფლებამოსილების განხორციელებაში ჩართოს დამხმარე პირები და მათ მიანდოს ცალკეულ მოქმედებათა შესრულება.

მუხლი 6. ინფორმირების ვალდებულება

1. რწმუნებული ვალდებულია, მარწმუნებელს პერიოდულად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

მუხლი 7. უფლებამოსილების ვადა.

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე (შეწყვეტამდე).

2. წინამდებარე აქტის მოქმედება წყდება აგრეთვე იმ მომენტიდან, როცა შეწყდება რწმუნებულის, როგორც წინამდებარე აქტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ეპარქიის მღვდელმთავრის უფლებამოსილება.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან."

აქტის ეგზემპლარები

წინამდებარე აქტი შედგენილია 6 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.

სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი:

დასკანირებულია 126

ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი №1.

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31, 34, 39 მუხლებისა):

ა) ნოტარიუსის საზღაური: 13,0 ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2,0 ლარი;

მე, ნოტარიუსმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს წინამდებარე აქტი. კათოლიკოს-პატრიარქმა წაიკითხა აქტი და ბრძანა, რომ იწონებს მას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი:

სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (იგივე _ „საქართველოს საპატრიარქო")

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II

(სამოქალაქო სახელი – ირაკლი შიოლაშვილი)

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

აკინძულია 6
ფურცელი

საქართველო. ნოტარიუსი ოთარ ზოიძე
ГРУЗИЯ. НОТАРИУС ОТАР ЗОИДЗЕ
GEORGIA. NOTARY OTAR ZOIDZE
01011002172

დასკანირებულია 126